



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #009/15¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

გიორგი ჩიკვილაძე (სტუდენტი)

შეკითხვა

შესაძლებელია თუ არა ეთიკის ნორმების დარღვევა ადვოკატის მიერ ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმაზე ხელმოწერისას, რომლის მხიედვითაც ადვოკატს არ ეკისრება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება.

ანალიზი

კომისიამ საკუთარი იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-7 და აპკ-ის მე-4, ევროგაერთიანების ადვოკატთა ქვევის კოდექსის 2.3.1 მუხლებზე და დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები ხელშეკრულებით არ შეთანხმებულან კონფიდენციალობის პრინციპის დაცვაზე, მისი დაცვის ვალდებულება ადვოკატს სწორედ რომ პროფესიული ეთიკის სტანდარტებიდან გამომდინარე ევალება. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურია. კონფიდენციალობის ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვისას, ასევე საქმის დასრულების შემდეგაც. დისციპლინურმა კოლეგიამ მიუთითა, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებით კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების გარკვეული ვადით ან სრულად შეზღუდვა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას იმის მიუხედავად, რომ კლიენტმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებაზე და შესაბამისად, დაეთანხმა მასში მითითებულ პირობებს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ადვოკატის იმპერატიული მოვალეობაა და, შესაბამისად, მას არ აქვს უფლება სახელშეკრულებო ვალდებულებით უარყოს იგი. განსახილველ შემთხვევაში, კლიენტს ეზღუდება უფლება - ადვოკატის მიერ მისი საქმის შესახებ მიღებული ინფორმაცია განუსაზღვრელი ვადით დარჩეს კონფიდენციალური.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ დაასკვნა, რომ ადვოკატის მიერ მიუხედავად ხელშეკრულებაში კონფიდენციალობის პრინციპის უგულვებელყოფისა, ის მაინც ვალდებულია დაიცვას აღნიშნული პრინციპი სწორედ ადვოკატის პროფესიული ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე.

¹ <https://gba.ge/pdf/5c7fb818e238e.pdf/21%20October%202015%20009.15.pdf>